# აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
# ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
# სტრატეგიული განვითარების გეგმა
# 2017- 2024

## ფაკულტეტის ისტორია

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი შეიქმნა დიდი ტრადიციების მქონე სამი ფაკულტეტის – ევროპული ფილოლოგიისა და ხელოვნების, ფილოლოგიის, ისტორიის ფაკულტეტების – გაერთიანების საფუძველზე.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი უდიდესი, მდიდარი ტრადიციების მქონე უძველესი ფაკულტეტია. ფაკულტეტი თავისი მრავალრიცხოვანი მიმართულებებით საუკეთესოდ აჩვენებს, თუ როგორ წარმატებულად თანაარსებობენ უძველესი ქართული, აღმოსავლური და დასავლური კულტურები და სამყაროები. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიზანია, შეუქმნას სტუდენტებს საუკეთესო პირობები ტრადიციაზე დაფუძნებული, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი და მომავალზე ორიენტირებული განათლების მისაღებად, უზრუნველყოს სწავლებისა და კვლევის პროცესის თანხვედრა.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 1700-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს, რომელთა სწავლებას 127 პროფესორ-მასწავლებელი უზრუნველყოფს, მათ შორის 27 პროფესორი, 76 ასოცირებული პროფესორი, 27 ასისტენტ პროფესორი და 4 ემერიტუს პროფესორი. ფაკულტეტზე ფუნქციონირებს რამდენიმე კომპიუტერ-კლასი, კეთილმოწყობილი და ტექნიკით აღჭურვილი დარგობრივი კაბინეტები, საკონფერენციო დარბაზი, ინტერნაციონალური კლუბი. სტუდენტების განკარგულებაშია ფაკულტეტის დეპარტამენტებთან არსებული მდიდარი დარგობრივი წიგნადი ფონდი.

შესაბამის დეპარტამენტებთან ფუნქციონირებს ენობრივი, საენათმეცნიერო, ლიტერატურული და სამეცნიერო-შემოქმედებითი კლუბები და წრეები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სტუდენტთა პიროვნულ და ინტელექტუალურ განვითარებაში. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ყოველწლიურად გამოსცემს სამეცნიერო კრებულს და სალიტერატურო ჟურნალს. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი და სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული მთარგმნელობით საქმიანობაში.

ფაკულტეტის საქმიანობა ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების შემდეგ დარგებში: ფილოლოგია (ქართული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული, კლასიკური, რუსული, აღმოსავლური) ისტორია, არქეოლოგია, ფილოსოფია, ხელოვნებათმცოდნეობა, კულტუროლოგია, ამერიკისმცოდნეობა, ევროპისმცოდნეობა.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქმიანობა ემსახურება ერთიან მიზანს – ძლიერ ფესვებსა და ტრადიციებზე დაყრდნობით განავითაროს ახალი თაობა, რომელიც იქნება განათლებული, პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი.

## 1. ფაკულტეტის მისია

ფაკულტეტი არის მრავალდარგოვანი საგანმანათლებლო ერთეული, რომელიც ახორციელებს ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას და ეწევა აქტიურ კვლევით საქმიანობას. ფაკულტეტის მისიაა, სტუდენტებმა გამოიმუშაონ სასწავლო-სამეცნიერო აზროვნების, განათლების საკითხების კვლევის, შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი. ფაკულტეტი ისწრაფვის, უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლების მიღება და კვლევითი საქმიანობის განხორციელება, ხელი შეუწყოს სტუდენტების პიროვნულ განვითარებას, აღზარდოს სფეროს პროფესიონალები და ლიდერები.

## 2. ფაკულტეტის ხედვა

ფაკულტეტის ხედვაა ჰქონდეს სულ უფრო მზარდი რეპუტაცია ქვეყნისა და საერთაშორისო მასშტაბით,

უზრუნველყოს რეალურ საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო პროგრამებისა და შესაბამისი ადამიანური რესურსების უწყვეტი და დინამიკური განვითარება, ჰყავდეს მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი, მოიზიდოს და შეინარჩუნოს მოტივირებული და მიღწევაზე ორიენტირებული ადგილობრივი და უცხოელი სტუდენტები, შესთავაზოს მრავალფეროვანი სერვისები, შექმნას ხელშემწყობი გარემო სრულფასოვანი სტუდენტური ცხოვრებისა და პიროვნული განვითარებისათვის. ფაკულტეტი მიისწრაფვის, დაამყაროს მჭიდრო აკადემიური და მეგობრული ურთიერთობა მსოფლიოსა და საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტების შესაბამის ფაკულტეტებთან, რაც გააძლიერებს ჩვენს სასწავლო-სამეცნიერო პოტენციალსა და სამომავლო პერსპექტივებს. ახალი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება ქვეყნისა და საზღვარგარეთის კვლევით ცენტრებსა და სასწავლო დაწესებულებებთან გააძლიერებს კვლევით საქმიანობას. ფაკულტეტმა უნდა უზრუნველყოს ღია აკადემიური სივრცე სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობისათვის და აქტიურად იყოს ჩაბმული რეგიონისა და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესებში.

## 3. ფაკულტეტის სამოქმედო პრინციპები

3.1 პასუხისმგებლობა საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე - ხარისხის კულტურა ფაკულტეტის თითოეული წევრის საქმიანობასა და უნივერსიტეტში მიმდინარე ყველა პროცესში;

3.2 სამოქალაქო საზოგადოების ძირითადი ღირებულებების გაძლიერება, გულწრფელობის, პატივისცემის, ნდობის კეთილმოსურნე, ჰარმონიული გარემოს შექმნა ფაკულტეტის პერსონალსა და სტუდენტებს შორის, ფაკულტეტზე დამკვიდრებული ტრადიციების პატივისცემა;

3.3 აკადემიური პერსონალის ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობების ხელშეწყობა და საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვის უზრუნველყოფა;

3.4 თვითრეალიზაციის თანაბარი პირობების შექმნის მხარდაჭერა (განურჩევლად ეროვნებისა, მრწამსისა, სქესისა, ფიზიკური შესაძლებლობებისა და სხვ.).

## 4. არსებული სიტუაცია და გამოწვევები

### 4.1 გამოწვევების ანალიზი

არსებული რეალობის გათვალისწინებით ფაკულტეტის წინაშე ახალი მიზნები დგება. მათ შორის უმნიშვნელოვანესია: ფასიან განყოფილებებზე უცხოელი სტუდენტების მოზიდვით ფინანსური შემოსულობების ზრდა, საგანმანათლებლო პროგრამების გაფართოება და საკუთარი სტუდენტების სწავლება უცხოეთის პარტნიორ უმაღლეს სასწავლებლებში, სწავლებისა და კვლევების ხარისხის ამაღლება სტუდენტებისა და პედაგოგების ცოდნის საერთაშორისო გაცვლის პროცესში ჩართვის გზით და ა.შ.

საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება ხელს უწყობს ერთობლივი პროექტების, სტუდენტებისა და პედაგოგების გაცვლითი პროგრამების, უცხოელი სტუდენტებისათვის სოციალური პროგრამების განხორციელებას.

თანამედროვე ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა, დისტანციური სწავლების განვითარებამ ეროვნული საზღვრები აბსოლუტურად გამჭირვალე გახადა საგანმანათლებლო მომსახურებებისათვის.

საგანმანათლებლო საქმიანობის თანამედროვე პირობები ხასიათდება გარემოს მნიშვნელოვანი ცვლილებებით, რომელთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დემოგრაფიული ფაქტორები, ფინანსური კრიზისი, ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, საერთაშორისო კონკურენციის გამძაფრება ელექტრონული და დისტანციური სწავლების ხარჯზე. აღნიშნულ პირობებში განსაკუთრებული როლი ენიჭება სწავლა/სწავლების პროცესის ხარისხის სრულყოფის ეფექტური მექანიზმების ამუშავებასა და სწავლების ახალი, თანამედროვე ფორმების დანერგვას, ბაზრის ახალი სეგმენტების ათვისების აუცილებლობას, როგორებიცაა კორპორატიული მომსახურება, კონსულტირება, მარკეტინგული კვლევები და სხვა.

### 4.2 გარემოს (ჩართული მხარეების) ანალიზი

ფაკულტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაცია-დაწესებულებებთან და გაერთიანებებთან, კურსდამთავრებულებთან, მასმედიის საშუალებებთან, სამთავრობო სტრუქტურებთან და ადგილობრივ თვითმმართველობებთან. აღნიშნული ურთიერთობების განვითარებისას ფაკულტეტს არჩეული აქვს ურთიერთხელსაყრელი პარტნიორობისა და თანამშრომლობის სტრატეგია ჩართული მხარეების საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში მონაწილეობის, სასწავლო პრაქტიკის ორგანიზების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დასაქმების, შრომის ბაზარზე კვალიფიციურ კადრებზე მოთხოვნის შესწავლის, სამეცნიერო-კვლევითი და სხვადასხვა აქტუალური პროექტების განხორციელების მიზნით.

რეგიონის საუკეთესო აბიტურიენტების მოზიდვის მიზნით, ფაკულტეტი თანამშრომლობს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

### 4.3 SWOT ანალიზი

<u>ძლიერი მხარეები</u>

ფაკულტეტი თავისი მრავალრიცხოვანი მიმართულებებით, ხანგრძლივი აკადემიური ტრადიციითა და მრავალფეროვანი აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამებით საუკეთესოდ აჩვენებს, თუ როგორ წარმატებულად თანაარსებობენ უძველესი ქართული, აღმოსავლური და დასავლური კულტურები და სამყაროები.

ფაკულტეტის ძლიერი მხარეებია:

- მაღალი ავტორიტეტი და დადებითი იმიჯი;
- მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი;
- სამეცნიერო-კვლევით/სახელოვნებო-შემოქმედებით საქმიანობაში წარმატებული აკადემიური პერსონალი;
- მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამები სწავლების ყველა დონეზე;
- სტუდენტთა დიდი კონტიგენტი;
- გაცვლით პროგრამებზე სტუდენტების სიმრავლე;
- საკმაოდ განვითარებული ინფრასტრუქტურა და სტაბილური ფინანსური ბაზა;
- აქტიური თანამშრომლობა დონორ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო პარტნიორებთან;
- კვლევის შიდასაფაკულტეტო დაფინანსების სისტემა (მაგ. ქართველოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი);

პრობლემათა ერთობლიობაში, ანალიზის მიზნებიდან გამომდინარე, შეიძლება გამოიყოს შემდეგი **სუსტი მხარეები:**

- მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად განახლდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ფაკულტეტზე კვლავინდებურად არასაკმარისია თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიები და ლაბორატორიები სტუდენტებისათვის;
- კიდევ უფრო მეტ განვითარებას საჭიროებს სტუდენტური სერვისები;
- არასაკმარისია ელექტრონული ტექნოლოგიებისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენების მაჩვენებელი;
- ფაკულტეტზე ჯერაც არსებობს ნაკლებად მოთხოვნადი პროგრამები და მცირეა უცხოენოვანი პროგრამების რიცხვი;
- ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მოპოვებული გრანტების რაოდენობა მცირეა;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი უკეთესის სურვილს ტოვებს;
- ტრენინგ-კურსებისა და საკონსულტაციო მომსახურების მოთხოვნა არაინტენსიურია.

**<u>შესაძლებლობები</u>**

ფაკულტეტის ძლიერი მხარეების შემდგომი გამყარებისა და სუსტი მხარეების გამოსწორების მიზნით, მიზანშეწონილია:

- იმერეთის რეგიონში არსებული ბიზნეს გარემოს შესწავლა სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებლის გაუმჯობესების მიზნით;
- ახალი აკადემიური და პროფესიული პროგრამების (მათ შორის უცხოენოვანი) შემუშავება;
- არსებული პროგრამების მოდერნიზება/გაუმჯობესება თანამედროვე მოთხოვნებისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის მიხედვით;
- ერთობლივისაგანმანათლებლო პროგრამების შექმნა პარტნიორი უნივერსიტეტების (საქართველოს და უცხოური) მონაწილეობით;
- ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება და საერთაშორისო თანამშრომლობის გააქტიურება;
- უცხოელი სტუდენტების რაოდენობის ეტაპობრივი ზრდა;
- ფაკულტეტის ბიუჯეტის ზრდა მოზიდული თანხების ხარჯზე;
- დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის, გეოპოლიტიკური მდებარეობის მიზანმიმართული გამოყენება.

**<u>საფრთხეები</u>**

- დაგეგმილი კონტინგენტის მიუღებლობა;
- ფინანსური კრიზისის გაღრმავება და მოსახლეობის სოციალური ფონის გაუარესება;
- უცხოენოვან სტუდენტთა ნაკადის შემცირება;
- დემოგრაფიული პრობლემები;
- ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე მოთხოვნის შემცირება;
- საერთაშორისო კონკურენციის გამძაფრება ელექტრონული და დისტანციური სწავლების განვითარების პირობებში;

**სტრატეგიული მიმართულებები და მიზნები**

1. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება;
2. ხარისხის უზრუნველყოფის მდგრადი მექანიზმების დანერგვა;
3. კვლევითი ფუნქციის გაძლიერება, სამეცნიერო-კვლევით/სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის ამაღლება, საკონსულტაციო და სასერტიფიკაციო მომსახურების განვითარება;
4. სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნის პოლიტიკის მიზანმიმართული დანერგვა და განხორციელება;
5. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები;
6. პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული მართვის პოლიტიკა;
7. ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების განვითარება;
8. ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება.

**<u>ამოცანები:</u>**

1. **საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება**
   1.1. აკადემიური პროგრამების მოდერნიზება საგანმანათლებლო სივრცისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად;
   1.2. ინტერდისციპლინარული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა აწსუ-ს ფაკულტეტებთან თანამშრომლობით;
   1.3. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა პარტნიორი უნივერსიტეტების (საქართველოს და უცხოური) თანამონაწილეობით.
   1.4. მოდულური პროფესიული პროგრამების განხორციელება;

1.5. ტრენინგ-კურსების ამოქმედება და განხორციელება მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სტრატეგიისათვის;
1.6. ინოვაციური სასწავლო მასალების შექმნა, რომლებიც სრულყოფს სასწავლო პროგრამებს უმაღლესი აკადემიური განათლების სხვადასხვა საფეხურზე;
1.7. კვლევის ინტეგრირება საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში;
1.8. ახალი უცხოენოვანი აკადემიური პროგრამების შემუშავება.

**2. ხარისხის უზრუნველყოფის მდგრადი მექანიზმების დანერგვა**

2.1. პერსონალის (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე) საქმიანობის შეფასების მექანიზმები;
2.2. სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი და მისი გამოყენება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად;
2.3. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმები;
2.4. სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენების ხელშეწყობა.

**3. კვლევითი ფუნქციის გაძლიერება, სამეცნიერო-კვლევით/სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის ამაღლება, საკონსულტაციო და სასერტიფიკაციო მომსახურების განვითარება.**

3.1 სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების პრიორიტეტულობის განსაზღვრა და სეგმენტის გაძლიერება;
3.2 სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორიენტირება შემდეგი კრიტერიუმების გაუმჯობესებით:
3.2.1 კვლევაზე მოზიდული სახსრები (research income) – ადგილობრივი და/ან საერთაშორისო გრანტების თუ პირდაპირი დაკვეთების ფორმით; კონფერენციები და ა.შ.;
3.2.2 კვლევის შედეგი (research output) - პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორის გამოცემებში (ციტაციის კოეფიციენტი) და ა.შ.
3.2.3 დოქტორანტების რაოდენობის ზრდა, სტუდენტების ჩართვა კვლევით საქმიანობაში, ახალგაზრდა კვლევითი კადრების მომზადების სისტემის არსებობა;

**4. სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნის პოლიტიკის მიზანმიმართული დანერგვა და განხორციელება**

4.1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სტუდენტის განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებით სწავლა-სწავლების, შეფასების სათანადო ფორმებისა და პირობების შეთავაზება;
4.2. ელექტრონული სწავლების დანერგვა და შესაბამისი სასწავლო კურსების განვითარება;
4.3. სტუდენტების აკადემიური, შემოქმედებითი, სპორტული და სხვა სახის ინიციატივების მხარდაჭერა;
4.4. სტუდენტების შეფასებისა და ხედვების გათვალისწინება სასწავლო პროცესის, ადმინისტრაციული მართვის და სასწავლო გარემოს ოპტიმიზაციისათვის.

**5. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები**

5.1. ფაკულტეტზე სტუდენტთა კონსულტაციებისა და მხარდაჭერის მექანიზმების გაუმჯობესება სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების ამაღლების მიზნით;
5.2. განახლებად რეჟიმში სტუდენტთა სტაჟირებისა და პრაქტიკის პროგრამების ფუნქციონირების ხელშეწყობა.

**6. პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული მართვის პოლიტიკა**

6.1. აკადემიური და დამხმარე პერსონალის სამუშაო გარემოს გაუმჯობესება;
6.2. აკადემიური პერსონალის უცხო ენის კომპეტენციის ამაღლება;
6.3. უცხოელი პროფესურის მოწვევა.

6.4 ახალგაზრდა კადრების კვლევებში ჩართვის ხელშეწყობა.

7. **ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების განვითარება**

7.1 სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის სრულყოფილად აღჭურვილი, კომფორტული თანამედროვე მოთხოვნების დონეზე განვითარებული ინფრასტრუქტურის შექმნა ხარისხიანი სწავლა-სწავლების, აქტიური დასვენებისა და განვითარების მიზნით;

7.2 ფინანსური ბაზის სტაბილურობისთვის ზრუნვა.

8. **ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება**

8.1 საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;

8.2 ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა;

8.3 უცხოელი სტუდენტების რაოდენობის ეტაპობრივი ზრდა.